

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 00 77 95

N 202
25/05/2017

202-07-3-201705251246



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ხელაძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 22 მაისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ სხდომა №6.

დანართი: სხდომის ოქმი № 6– 3 (სამი) ფურცელი

პატივისცემით,

ელგუჯა ჩხაიძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია "ლანჩხუთი-ევრო ატლანტიკური მომავლისთვის"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
„ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“
სხდომის ოქმი №6

ქ.ლანჩხუთი

22.05.2017 წელი
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდა ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე.

ფრაქციის წევრები: გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა.

მოწვეული პირები: გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ე.ჩხაიძე/

ფრაქციის თავმჯდომარემ, ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად, მუნიციპალიტეტს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია განსაზღვროს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურისა და ქონების

ნორმატიული აქტის პროექტი, რომლითაც მოხდება: ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ავტომატური პარკირების ორგანიზებულობის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე პარკირების სფეროს განვითარება და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღება.

გამგებობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, გიორგი ფაცურამ განმარტა, რომ პარკირების ტარიფებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანო წარუდგენს საკრებულოს, რომლის მიერ მოხდება მისი დამტკიცება. მისი თქმით ამ ეტაპზე ხდება პარკირების წესის მიღება, რომლის დამტკიცების გარეშეც ვერ მოხდება პარკირების ტარიფების განსაზღვრა ამა თუ იმ ადგილზე.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ქონების სამსახურმა შეიმუშავა პროექტი, რომლის თანახმადაც ქალაქის ტერიტორიაზე გამოიყოფა პარკირებისთვის თერთმეტი ადგილი, რომლის ნაწილიც შესაძლოა გაიცეს იჯარით, მეიჯარე მოაწესრიგებს და უპატრონებს პარკირებისთვის გამოყოფილ ტერიტორიებს, რაც გაზრდის ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილს. დეპუტატს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ პარკირება არ გახდეს ფასიანი, ვინაიდან იგი გარკვეულ პრობლემებს შექმნის. მან აღნიშნა, რომ გამგებობის ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ უნდა მოხდეს პარკირების პროექტის შემუშავება, რომელსაც დააფინანსებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და პარკირებისათვის გამოყოფილი ადგილები დარჩეს უფასო. სატრანსპორტო საშუალებების დგომა-გაჩერების დარღვევის შემთხვევაში საპატრულო პოლიციის მიერ მოხდეს მათი დაჯარიმება.

კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ საგზაო დეპარტამენტის მიერ უნდა მოხდეს პარკირების ნიშნების დადგმა და ინფრასტრუქტურული კუთხით ტერიტორიის მოწესრიგება. დგომა-გაჩერების წესების დარღვევისას ადმინისტრირება უნდა განახორციელოს საპატრულო ეკიპაჟმა.

ფრაქციის თავმჯდომარემ , ელგუჯა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ „მეტროს“ გაჩერების ადგილი უნდა დარჩეს უცვლელი. მან ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ პარკირების ნიშნები არაკანონიერად არის განთავსებული. მისი განცხადებით უმჯობესი იქნება წამოდგენილ დოკუმენტს თუ დაემატება კიდევ ერთი პუნქტი, რომლის მეშვეობითაც დარეგულირდება აღნიშნული საკითხი.

სხვადასხვა

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ყვავილნარის მოსახლეობა ითხოვს ზღვის სანაპირომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გზის გადაკეტვით იმუქრებიან.



ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ფრაქცია „ლანჩუთი ევროატლანტიკური
მომავლისათვის“ თავმჯდომარე:

 ელგუჯა ჩხაიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ლანჩხუთი ევროატლანტიკური
მომავლისათვის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22 მაისი 2017 წელი
12.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ელგუჯა ჩხაიძე	11:30	
2	გიორგი გოგუაძე	11:40	
3	კახაბერ ასკურავა	12:00	